



ზუამუნგის ქსელის  
საიზების სამონიშორინება  
უკინველთა და მტენაკათა  
საკვები



თბილისი  
2018 წ.





## კაკსანიუკი გოჭო (LYRURUS MLOKOSIEWICZI )



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** NT (საფრთხესთან ახლოს მყოფი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს მინაზე მაღალ ბალახში ან ბუჩქნარში. აპრილის ბოლოს იწყება როჭოების ტიხტიხი. დედლები მაისის ბოლოს დებენ 10-მდე კვეცხს.

**საინკუბაციო პერიოდი:** 22-28 დღე.

**ჰაბიტატი:** მაღალი მთები, სუბალპური და ალპური სარტყელი.

**მონიტორინგის პერიოდი:** მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე: მამალი 50-55 სმ. დედალი 37-42 სმ. მამლის შეფერილობა შავია. აქვს გრძელი ბოლოსკენ მოხრილი კუდის ბუმბულები. ფრთის ქვედა მფარავი ბუმბულები თეთრია. მამალს აქვს მკვეთრად გამოკვეთილი წითელი წარბი. დედალი მოჩალისფეროა მუქი წინწკლებით, ხაზებით და ლაქებით. აქვს ძალიან სუსტად გამოხატული წითელი წარბი. ფრთის ქვედა მფარავი ბუმბული თეთრია.

## გაგკანქკი (GYPAETUS BARBATUS)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს კლდეზე.  
იანვრის ბოლოს დებს 1-2 კვერცხს.

**საინკუბაციო პერიოდი:** 55-60 დღე.

**ჰაბიტატი:** მაღალი მთები, სუბალპური და  
ალპური სარტყელი.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი - ივნისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე: 100 -115 სმ. ფრთის შლილი 266-282 სმ. დიდი ზომის ლეშიჭამია. სხვა ლეშიჭამიებისგან განსხვავებით თვალზე გამავალი შავი ზოლი ნისკარტის ქვემოთ ქმნის წვერის მსგავს ნაზაზარდს. აქვს გრძელი სოლისებური კუდი. გალო მთლიანად შებუმბულულია თითებამდე. თავი და მუცლის მხარე სტაფილოსფერი ან მოთეთრო. ხოლო სხეულის ქვედა მხარე ფრთებზე და სხეულის ზედა მხარე მთლიანად მოშავოა.

## ოგბი (GYPS FULVUS)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონაცვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს კლდეზე.  
მარტის ბოლოს დებს 1 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 50-55 დღე.

**ჰაბიტატი:** ნათელი ტყეები, ნახევარუდაბნოები  
და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-ივლისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე: 95 -105 სმ. ფრთის  
შლილი 240-280 სმ. დიდი ზომის ლეშიჭამიაა. გალო  
შებუმბლული არ აქვს. თავი და კისერი მკერდამდე  
ღინღლიანია და შორიდან ისე ჩანს თითქოს შიშველია.  
მოშავო მომქნევეები მკვეთრად ემიჯნება ფრთის  
დანარჩენ ნაწილს. მეორადი მომქნევეების მიდამოში  
ფრთა შესამჩნევად განიერია.

## სკაპი (AEGYPIUS MONACHUS)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** EN (საფრთხეში მყოფი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:**  
CR(კრიტიკულ საფრთხეში მყოფი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს ხეებზე.  
მარტის ბოლოს დებს 1 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 50-55 დღე.

**ჰაბიტატი:** ნათელი ტყეები, ნახევარუდაბნოები  
და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-ივლისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე: 100-110 სმ. ფრთის შლილი 250-295 სმ. დიდი ზომის ლეშიჭამიაა. გალო არაა შებუმბულული. საყელო კეფას უახლოვდება. თავი ღინღლიანია, კისრის უკანა ნაწილი ტიტველი. ფრთა მთელს სიგრძეზე დაახლოებით თანაბარი სიგანისაა. ფრთა ერთფეროვანად მუქია და მომქნევები არ ემიჯნებიან ფრთის დანარჩენ ნაწილს. გუგა არის მომწვანო-ყავისფერი, მოყვითალო-ყავისფერი ან მონითალო-ყავისფერი.

## ჟასკუნჯი (NEOPHRON PERCNOPTERUS)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** EN (საფრთხეში მყოფი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU(მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს კლდეზე.  
აპრილში დებს 1-3 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 42 დღე.

**ჰაბიტატი:** მშრალი ნათელი ტყეები,  
ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** მაისი-ივლისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 60-70 სმ. ფრთის შლილი 155-180 სმ. მცირე ზომის ლემიჭამია. აქვს წვრილი გრძელი ნისკარტი და სოლისებური კუდი. სახეზე კანი აქვს ყვითელი ბუმბულს მოკლებული. სხეული თითქმის მთლიანად თეთრი ბუმბულებითაა დაფარული. მომქნევები შავია. ახალგაზრდა ფრინველების შეფერილობა მუქი მურაა. ახალგაზრდა ფრინველები ზრდასრულ შეფერილობას აღწევენ მე-3 წელს

## გაქობის აკნივი (AQUILA HELIACA)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** VU (მონყვლადი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს ხეზე ან ელექტრო ბოძებზე. მარტის ბოლოს დებს 2-3 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 43 დღე.

**ჰაბიტატი:** მშრალი ნათელი ტყეები, ჭალები, ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-ივლისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 72-83 სმ. ფრთის შლილი 190-210 სმ. დიდი ზომის არწივია. გაღო შემოსილია თითებამდე. მხარზე აქვს დამახასიათებელი თეთრი ლაქა. თხემი და კისრის უკანა ნაწილი მოჩალისფერო მოყვითალოა. კიდის ზედა მხარე რუხია სუსტად გამოხატული მუქი განივი ხაზებით და არშიით.



## გაკაუნი (FALCO CHERRUG)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** EN (საფრთხეში მყოფი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:**  
CR (კრიტიკულ საფრთხეში მყოფი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს კლდეზე.  
მარტის ბოლოს დებს 3-5 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 28-30 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 45-55 სმ. ფრთის შლილი 63-72 სმ. დიდი ზომის შავარდნისებრი ფრინველია. ზურგის მხარე მოჟანგისფერო აქვს. თავის შეფერილობა ღიაა და მკვეთრად ემიჯნება შედარებით მუქ ზურგს. უღვაში მკრთალადაა გამოხატული. ცვილანა ყვითელია. შედარებით ღია ფერის მკერდზე და მუცელზე მცირე ზომის მუქი ღერძულა ლაქებითაა დაფარული.

## წითელთავა შავკაღენი (FALCO BIARMICUS)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყველადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს კლდეზე.  
მაისის ბოლოს დებს 3-4 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 32-35 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 34-50 სმ. ფრთის შლილი 90-115 სმ. მოზრდილი ზომის შავარდნისებრი ფრინველია. მუცლის მხარე ღია ფერისაა და დაფარულია განივი ლაქებით. ზურგის მხარე მოჟანგისფრო-მონაცრისფროა. ულვაში მუქი და ვიწროა. ზრდასრულებში თხემი და კეფა მონითალო ან მონითალო-მოყავისფროა. ცვილანა და ფეხები ყვითელია.

## მხიკე პიკიჯა (F. NAUMAANI)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მოხუდარი.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** CR  
(კრიტიკულ საფრთხეში მყოფი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს კლდეზე ან შენობებზე.  
მაისის ბოლოს დებს 3-5 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 28 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 27-33 სმ. ფრთის შლილი 63-72 სმ. პატარა ზომის შავარდნისებრი ფრინველია. მონიტალო ან მონიტალო-მოყავისფრო ზურგით, მამლებში ნაცრისფერი თავით, უღვაში ზრდასრულ მამრებს არ აქვთ. კარგი განმსხვავებელი ნიშანია თეთრი კლანჭები.

## თვალყუჩია (BURHINUS OEDICNEMUS)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობუდარი.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს მინაზე. მაისის ბოლოს დებს 2-3 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 26 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე: 38-46 სმ. ფრთის შლილი 76-88 სმ. სხეულის შეფერილობა ჩალისფერია, მუქი ზოლებით. აქვს მოკლე და ძლიერი ნისკარტი, დიდი ზომის ყვითელი თვალი და გრძელი ყვითელი ფეხები. ფრენისას ფრთებზე შესამჩნევია თეთრი და შავი ლაქები.

## სპრსარაკი (TETRAX TETRAX)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მოზამთრე.

**IUCN-ის სტატუსი:** NT(საფრთხესთან ახლოს მყოფი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს მიწაზე.  
ივნისში დებს 3-5 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 20-22 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და სტეპები.

**მონიტორინგის პერიოდი:** გაზაფხული-შემოდგომა.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 42-45 სმ. ფრთის შლილი 90-100 სმ. სხეულის შეფერილობა ჩალისფერია მუქი წინკლებით. მუცლის მხრიდან მოთეთრო. ფრენისას ფრთის მომქნევები და ქვედა მფარავები თეთრია. მამალს კისერზე აქვს მსხვილი შავი და თეთრი ხაზები რომლებიც გამრავლების პერიოდში უფრო მსხვილდება და ზამთრობისას ძნელი შესამჩნევია.

## წითელი იხვი (TADORNA FERRUGINEA)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** VU (მონყვლადი).

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს მიწაზე. ივნისში დებს 3 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 27-29 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და უდაბნოები.

**მონიტორინგის პერიოდი:** გაზაფხული-შემოდგომა.

**პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 55-65 სმ. ფრთის შლილი 100-120 სმ. მოზრდილი ზომის იხვია. გამოირჩევა სხეულის მონათალო შეფერილობით. ფრთის მომქნევები შავია. ფრთის მფარავები თეთრი. მამალს კისრის გარშემო აქვს შავი ხაზი. მეორად მომქნევებზე გააჩნია მომწვანო „სარკე“. ფეხები და ნისკარტი შავია.

## შავშუტელა გვირგვინა (PTEROCLES ORIENTALIS )



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** შემომღრენი.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** არ შედის.

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს მიწაზე.  
ივნისში დებს 3 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 23-28 დღე.

**ჰაბიტატი:** ნახევარუდაბნოები და უდაბნოები.

**მონიტორინგის პერიოდი:** გაზაფხული-შემოდგომა.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 30-35 სმ. მოზრდილი ზომის გვრიტჩიტაა. გამოირჩევა მუცელზე დიდი შავი ლაქით, რომელიც ორივე სქესის ფრინველებს აქვთ. მამალს აქვს მონარინჯისფრო ფრთის ზედა მფარავი. შავი მუცლის ლაქა დედალსაც გააჩნია, თუმცა ის ზურგის მხრიდან ჩალისფერია, მუქი წინწკლებით. მამლებს გააჩნიათ დაუწინკლავი, მონაცრისფრო მკერდი და კისერი.

## ჩვეულებრივი გვირი (STREPTOPELIA TURTUR)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მოხუდარი.

**IUCN-ის სტატუსი:** VU (მონაცვლადი).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** არ შედის.

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს ხეზე ან ბუჩქზე. აპრილის ბოლოს დებს 2 კვერცხს.

**ინკუბაციის პერიოდი:** 14 დღე.

**ჰაბიტატი:** ნათელი ტყეები, ბუჩქნარები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

**მონიტორინგის პერიოდი:** მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 25-28 სმ. ფრთების შლილი 45-50 სმ. მომცრო ზომის მტრედისებრი ფრინველია. სხეული ზოგადად მორუხია. ფრთის მფარავები მონარინჯისფერო-მოყავისფერო ბუმბულის არშიით, კისრის ლაქა თეთრი და შავი ზოლებითაა. თვალის გარშემო კანი შეუბუმბლავია. ფეხები მონითალოა და მეოთხე თითი სუსტადაა განვითარებული.



## თეთრპირა კოლა (DENDROCOPOS LEUCOTUS)



ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** არ შედის.

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს ხის ფულუროში.  
მაისში დებს 5-6 კვერცხს.

**საინკუბაციო პერიოდი:** 12-14 დღე.

**ჰაბიტატი:** ფართოფოთლოვანი ტყეები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი - მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 25-28 სმ. ფრთების შლილი 36-40 სმ. დამახასიათებელია სხეულის ჭრელი, შავ-თეთრი შეფერილობა. სხეულის ქვედა მხარე მოთეთრო-მოყვითალოა, ზედა შავი – ფრთებზე თეთრი კოპლებით. ზურგის ქვედა ნაწილი და წელი თეთრია. ნისკარტიდან კისრის გაყოლებით მხრისკენ შავი ზოლი გასდევს. მამალს კუდქვეშა ბუმბულები და თხემი წითელი აქვს.

## საშუალო ჭკაილი კოღალა (DENDROCOPUS MEDIUS)



ფოტო: გურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მობინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას).

**საქართველოს წითელი ნუსხა:** არ შედის.

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს ხის ფულუროში.  
აპრილიში ან მაისის დასაწყისში დებს 5-6 კვერცხს.

**საინკუბაციო პერიოდი:** 10-12 დღე.

**ჰაბიტატი:** ფოთლოვანი ტყეები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი – მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს.

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 19-22 სმ. ფრთების შლილი 32-34 სმ. დამახასიათებელია სხეულის ჭრელი, შავ-თეთრი შეფერილობა. მხრებზე თეთრი ლაქითა და ფრთებზე კოპლებით. წითელი ფერის თავის ზედა მხარე (თხემი) და კუდქვეშა ბუმბულები; სხეულის ქვედა ნაწილი მოყვითალო-თეთრია, გვერდებზე მუქი ხაზებით.

## შავი კოლა (DRYOCOPUS MARTIUS)



ფოტო: მურა ჯავახიშვილი

**საქართველოში ყოფნის სტატუსი:** მოზინადრე.

**IUCN-ის სტატუსი:** LC (საჭიროებს ზრუნვას)

**საქართველოს წითელი ნუსხა:** არ შედის

**ბუდობა:** ბუდეს იკეთებს ხის ფულეროში.  
მარტში ან აპრილში დებს 4-5 კვერცხს.

**საინკუბაციო პერიოდი:** 12-14 დღე.

**ჰაბიტატი:** ფართოფოთლოვანი, წიწვოვანი და შერეული ტყეები.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი – მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველ წელს

**აღწერა:** სხეულის სიგრძე – 40-46 სმ. ფრთების შლილი 67-73 სმ. დამახასიათებელია სხეულის შავი შეფერილობა. თავის ზემო ნაწილი (მუბლი და თხემი) – წითელია. თვალის გარსი და ნისკარტი მოთეთრო ფერისაა. ფეხები შავია.

## მაღალი მოცვი (VACCINIUM ARCTOSTAPHYLOS L.)



მაღალი მოცვის მოყვავილე ყლორტი  
ფოტო: ვახაბერ სუხიტაშვილი



მაღალი მოცვის ნაყოფმსხმოიარე ყლორტი  
ფოტო: ქეთევან ბაცაცაშვილი

ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს მაისიდან  
სექტემბრის ჩათვლით.

**ჰაბიტატი და გეოგრაფიული გავრცელება:** იზრდება  
ფართოფოთლოვან, შერეულსა და წიწვიან ტყეებში,  
მეტწილად დასავლეთ საქართველოში.

**მონიტორინგის პერიოდი:** ივლისი-სექტემბერი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:**  
სამ წელიწადში ერთხელ.

**აღწერა:** მაღალი ბუჩქი ან პატარა ზომის ხეა,  
მომრგვალო ტოტებით; ფოთლები მჯდომარეა, 4-10  
სმ სიგრძის, ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებრი,  
ნაწვეტებული წვერითა და ხერხკბილა კიდეებით,  
ზედა მხარეზე მუქი მწვანე, ქვედა მხარეზე - ლეგა,  
ძარღვების გასწვრივ მეტ-ნაკლებად შებუსვილი.  
ყვავილები შეკრებილია არამრავალყვავილიან  
მტევნებად; გვირგვინი მოთეთრო-მონითალოა,  
ზარისებრი, მოკლე-კბილებიანი. წვნიანი ნაყოფი  
სფეროსებრია, შავი.

## ველის იორდასალაში (PAEONIA TENUIFOLIA L.)



მოყვავილე ველის  
იორდასალაში  
ფოტო: ქეთევან ბაცაცაშვილი



ნაყოფმსხმოიარე ველის იორდასალაში  
ფოტო: ქეთევან ბაცაცაშვილი

ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს აპრილ-მაისში.

**ჰაბიტატი და გეოგრაფიული გავრცელება:** იზრდება ველებზე, ბუჩქნარებში. გვხვდება ქართლსა და ქიზიყში.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველწლიური.

**აღწერა:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 10-50 სმ სიმაღლის, ხშირფოთლიანი; ფოთლები ძალიან ვიწრო, თითქმის ძაფისებრი, 1-2 მმ სიგანის ნაკვეთებითაა. ყვავილები მსხვილია, 3-5 სმ დიამეტრის; გვირგვინის ფურცლები მუქი წითელი, უკუკვერცხისებრი ფორმის, წვერსა და ძირში მომრგვალებული; სამტვრეები ყვითელია, მტვრიანის ძაფები - მონითალო. ნასკვი და მოუმწიფებელი ნაყოფი სქლად შებუსვლია წითელი ქერისებრი ბუნვით. ნაყოფი მოკლე კვერცხისებრი ან ოვალური ფორმისაა, ოდნავ გვერდზეა გადახრილი, მურა-წითელი შებუსვით. თესლი შავი-მურა ფერისაა, პრილა.

**შენიშვნა:** Paeonia tenuifolia-ს სინონიმად მიჩნეულია P. carthalinica Ketsk. - ქართლის იორდასალაში, რომელიც ველის იორდასალაშიგან „საქართველოს ფლორის“ (1971-2011) მიხედვით, ძირითადად, ნასკვისა და ნაყოფის მორუხო-მოყვითალო შებუსვით განსხვავდება.

## მლოკოსევიჩის იორდასალაში (PAEONIA MLOKOSEWITSCHII LOMAKIN)



მოყვავილე მლოკოსევიჩის  
იორდასალაში  
ფოტო: შალვა სიხარულიძე



მოყვავილე ლაგოდეხის იორდასალაში  
ფოტო: შალვა სიხარულიძე

ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს აპრილ-მაისში.

**პაბიტატი და გეოგრაფიული გავრცელება:** იზრდება მთის შუა სართყლიდან ზედა სართყლამდე ტყეში, ქვიან ფერდობებზე. გვხვდება კახეთში, ქიზიყში.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველწლიური.

**აღწერა:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 50-100 სმ სიმაღლის, ხშირფოთლიანი; ფოთლები ორმაგ სამფოთოლაკიანი, იშვიათად სულ ზედა ფოთოლი მთლიანი; ფოთოლაკები უკუკვერცხისებრი ან მოგრძო უკუკვერცხისებრი, წვერში მომრგვალებული ან მოკლედ ნაწვეტებული, ძირთან შევიწროვებულია. ორივე ან მხოლოდ ზედა მხარეზე ლეგა ან ლეგა-მწვანეა, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსვლი ძალიან წვრილი მოკლე ბეწვით. ყვავილები მსხვილია; გვირგვინის ფურცლები მოყვითალო, ხშირად გამოშრობის შემდეგ კიდებე მომწვანო; ოვალური, ჩაზნექილი, მოკლე და ფართო ფრჩხილით; სამტვრეები და მტვრიანის ძაფები ყვითელია; ბუტკოს დინგი ვარდისფერი, ზოგჯერ მოყვითალო, მჯდომარე; ნასკვი და მოუშნიფებელი ნაყოფი სქლადაა შებუსვლი მოყვითალო ქეჩისებრი ბეწვით. თესლი მოლურჯო-შავი, მსხვილ-ბადისებრ დანაოჭებულია.

**შენიშვნა:** ნაზი ოდნავ ლეგა ფოთლებით ამ სახეობას ჰგავს *P. lagodechiana* Kem.-Nath., რომელიც „საქართველოს ფლორის“ (1971-2011) მიხედვით, მლოკოსევიჩის იორდასალაშიდან განსხვავდება ვარდისფერი ყვავილებით, ბუტკოს წითელი დინგით, მტვრიანების მენამული ძაფებით, მოგრძო-ელიფსური ფოთოლაკებით.

## ნაბლი (CASTANEA SATIVA MILL)



ნაბლის ნაყოფმსხმოიარე ყლორტი  
ფოტო: შალვა სიხარულიძე

ყვავილობს ივნის-ივლისში, ნაყოფმსხმოიარობს სექტემბერ-ოქტომბერში.

**ჰაბიტატი და გეოგრაფიული გავრცელება:** გვხვდება 8. დ. 1,500 მ-მდე. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, აჭარაში, შიდა ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში (ბორჯომის ხეობა).

**მონიტორინგის პერიოდი:** მაისი-სექტემბერი.  
მონიტორინგის პერიოდულობა: სამ წელიწადში ერთხელ.

**აღწერა:** ფოთოლმცვივანი ხე, 30 მ-მდე სიმაღლის, დიდი, გამლილი ვარჯით; 10-25 სმ სიგრძის ფოთლები ოვალურ-ლანცეტისებრი, ხერხკბილა კიდით, წვერწანვეტებული, მოკლეყუნჩიანი; მცენარე ერთსახლიანია; ყვავილები შეკრებილია 5-15 სმ სიგრძის თავთავისებრ ყვავილედეზად; ყვავილების უმეტესობა მამრობითია, მტვრიანებიანი, ბუტკოიანი ყვავილები ყვავილედის ფუძესთანაა თავმოყრილი. ნაყოფი ხშირი დატოტილი ეკლებით შემოსილი ტყავისებური საბურვლის მქონე კაკალია; თითო საბურველში 1-3 კაკლით.



## კოლხუკი გზა (BUXUS COLCHICA POJARK)



კოლხუკი ბზა  
ფოტო: მალვა სიხარულიძე

ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს თებერვლიდან აპრილის ჩათვლით.

**ჰაბიტატი და გეოგრაფიული გავრცელება:** იზრდება მარადმწვანე ქვეტყედ ფართოფოთლოვან, შერეულსა და წიწვიან ტყეებში, 1600-1800 მ-მდე ზ.დ., მეტწილად კირქვიან ნიადაგებსა და კლდეებზე, ძირითადად დასავლეთ საქართველოში.

**მონიტორინგის პერიოდი:** მაისი-სექტემბერი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველწლიური.

**აღწერა:** მაღალი ბუჩქი ან პატარა ხეა, 2-12 მ, იშვიათად 15 მ სიმაღლის, მონაცრისფრო-მოყვითალო გლუვი ქერქით; ტოტები ოთხნახნაგოვანია, ნორჩობაში შებუსვილი; ფოთლები მარტივია, ტყავისებრი, შიშველი, მოპირისპირედ, იშვიათად მორიგეობით განლაგებული, მოგრძო-კვერცხისებრი, ლანცეტისებრი ან ლანცეტა კვერცხისებრი, მოკლეყუნწიანი, ოდნავ შიგნით შეკეცილი კიდეთ, 1-3 სმ სიგრძის და 1-1.2 სმ სიგანის (ყველაზე განიერ ნაწილში), ძირში სოლისებრ შევიწროვებული, წვერში ბლაგვი ან ოდნავ ამოკვეთილი, იშვიათად ნაწვეტებული; ზედა მხარე მუქი მწვანეა, პრიალა, ქვედა მხარე - მკრთალი; ყვავილები მომწვანო-ყვითელია, ერთსქესიანი, ერთსახლიანი, შეკრებილია ფოთლის უბეში განლაგებულ თავაკისებრ ან თავთავისებრ ყვავილელებად. ნაყოფი კოლოფია, მოგრძო-კვერცხისებრი ან მოგრძო-სფეროსებრი, კოლოფის წვერი ხშირად ექვსრქიანია; თესლი მომრგვალოა ან მოგრძო, სადა, ოდნავ მბრწყინავი, უფრო ხშირად მოშავო.



## ეიხლერის ჯიჯა (TULIPA EICHLERI REGEL)



*ეიხლერის ტიტას მოყვავილე ინდივიდი  
ფოტო: მალვა სიხარულიძე*

ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს აპრილ-მაისში.

**ჰაბიტატი და გეოგრაფიული გავრცელება:**  
იზრდება მთის ქვედა სართყელში მშრალ ქვიან  
ეკოტოპებზე, სტეპებში ქართლსა და ქიზიყში.

**მონიტორინგის პერიოდი:** აპრილი-მაისი.

**მონიტორინგის პერიოდულობა:** ყოველწლიური.

**აღწერა:** ბოლქვიანი მცენარეა, 30-40 სმ  
სიმაღლის; ფოთლები ფართოა, წვეროსაკენ  
თანდათან შევიწროვებული, კიდეტალღოვანი,  
ლევგა-მწვანე. ყვავილები მსხვილია,  
ყვავილსაფრის ფოთოლაკები კაშკაშა წითელი,  
შიდა ზედაპირზე ფუძესთან შავი ყვითელ არშიან  
ლაქით.

